



სახელმწიფო
ინსპექციის
სამსახური



საჯარო დანაცვლებებში დაცული პერსონალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

სახელმძვანელო რეკომენდაციები

საჯარო დანაცვლებებში საჯარო ინფორმაციის
ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
პასუხისმგებელი პირებისთვის



ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union



პუბლიკაცია მომზადებულია

ჰაიატა ტურავას მიერ

თბილისი, 2022 წელი

დათქმა: პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

შასავალი

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, როგორც პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების მაკონტროლებელ ორგანოს საჯარო დაწესებულებები ხშირად მომართავენ პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გამჟღავნების მიზანშეწონილობის შესახებ. სამსახურის საქმიანობის პროცესში არაერთხელ გამოიკვეთა საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევა მაშინ, როდესაც კანონმდებლობა მისი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას ითვალისწინებდა და პირიქით. სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოში თანაბრად ღირებული და მნიშვნელოვანია როგორც პერსონალური მონაცემების დაცვა, ისე გამჭვირვალე მმართველობის დამკვიდრება. საზოგადოების ინფორმირება მისთვის აქტუალურ საკითხებზე მაშინ, როდესაც ეს ინფორმაცია პერსონალურ მონაცემებსაც შეიცავს ლეგიტიმური ინტერესების აწონ-დანონვას მოითხოვს. ასეთ დროს მოქმედი კანონმდებლობა ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებს საჯარო უწყებებს.

საჯარო დაწესებულებები დიდი მოცულობით მონაცემებს ამუშავებენ ფიზიკური პირების შესახებ, რომელზე წვდომაც მრავალი მიზნით შეიძლება გახდეს საჭირო. ამ ინფორმაციის მაძიებლები შეიძლება იყვნენ ჟურნალისტები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ცალკეული ფიზიკური პირები, კერძო და საჯარო ორგანიზაციები, მკვლევარები და ა.შ. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამოცდილებამ ცხადყო, რომ საჯარო მოსამსახურეები პრაქტიკაში ნაკლებად იყენებენ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების იმგვარ საფუძვლებს, რომლებიც კანონიერი საჯარო ინტერესის შემთხვევაში საზოგადოების დროული და ადეკვატური ინფორმირებისთვის დასაშვებად მიიჩნევენ მონაცემების გამჟღავნებას. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება სირთულეს წარმოადგენს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მესამე პირების და მონაცემთა სუბიექტის კანონიერი ინტერესებს შორის აღმატებულია გამოსარკვევი.

ზემოაღნიშნულ გამოწვევებზე საპასუხოდ, საჯარო მოსამსახურეების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა 2020-2021 წლებში მნიშვნელოვანი სამუშაო ჩაატარა. სამსახურმა შეიმუშავა კითხვარი, რომლითაც საჯარო უწყებებს დაწესებულებებში დაცული პერსონალური მონაცემების საზოგადოებისთვის, დაინტერესებული პირებისთვის გაზიარების პრაქტიკის, თემატიკის და პრობლემური საკითხების შესახებ ინფორმაცია ეთხოვათ. კითხვარები გაიგზავნა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში, ასევე, მუნიციპალიტეტებში. 80-ამდე საჯარო დაწესებულებიდან მიღებულმა ინფორმაციამ კიდევ ერთხელ აჩვენა საკითხის აქტუალობა. პარალელურად, შესწავლილი იქნა საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების თემატური ანგარიშები და მათ მიერ იდენტიფიცირებული საჭიროებები.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, იდენტიფიცირებული გამოწვევების საპასუხოდ, შეასრულოს ერთგვარი გზამკვლევის ფუნქცია საჯარო დაწესებულებებში დაცული პერსონალური მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემის საკითხების გადაწყვეტაში, დაეხმაროს საჯარო მოსამსახურეებს შეაფასონ საზოგადოების/მესამე პირების ობიექტური მოთხოვნა თუ აღმატებული ინტერესები და სათანადო საფუძველში დარწმუნების შემთხვევაში, შესაბამისი მონაცემები დაამუშაონ.

შინაარსი

I. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა სამართლებრივ და დემოკრატიულ

სახელმწიფოში	5
1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და პერსონალური მონაცემების დაცვა.....	5
2. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების არსი და მისი უზრუნველყოფის პრობლემა	6

II. პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. პერსონალური მონაცემების ცნება და არსი.....	9
2. საჯარო დაწესებულებებში დაცული პერსონალური მონაცემები	10

III. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ფორმა, უფლებამოსილი სუბიექტი და

გადაწყვეტილების მიღების პროცესი.....	12
1. ინფორმაციის მოთხოვნის უფლებამოსილება და მოთხოვნის ფორმა.....	12
2. განცხადების წარდგენა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში	14
3. გადაწყვეტილების მიღება.....	15
4. აბსოლუტურად ღია და აბსოლუტურად დახურული მონაცემების შემცველი ინფორმაცია.....	18
5. ინტერესთა შეპირისპირება ინფორმაციის თავისუფლების სამართალში.....	20

IV პერსონალური მონაცემების დაცვისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის

ინტერესთა შეპირისპირება.....	24
1. მონაცემთა დამუშავება მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად	24
2. მონაცემთა დამუშავება კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად	28
3. ადმინისტრაციული წარმოების ინტერესი, როგორც ინფორმაციის ღიაობის შეზღუდვის საფუძველი.....	29
4. საზედამხებველო კონტროლის ფარგლებში პერსონალური მონაცემების ღიაობა	31

V. მონაცემთა დამუშავება მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის

გათვალისწინებით.....	34
1. მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის არსი და მნიშვნელობა	34
2. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობა	35
3. საჯარო ფინანსების ხარჯვაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების ინტერესი	41
4. მესამე პირების პერსონალურ მონაცემებზე წვდომა	43

VI. დასკვნა.....

დანართი №1	46
დანართი №2.....	49

I. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოში

1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და პეისონადუი მონაცემების დაცვა

ღია მმართველობა¹ თანამედროვე სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოების შეფასების ერთ-ერთი ცენტრალური კრიტერიუმია, რომლის უმნიშვნელოვანეს ელემენტს სწორედ ინფორმაციის თავისუფლება წარმოადგენს.

საჯარო მმართველობის ღიაობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საჯარო დაწესებულებათა საქმიანობის „საზოგადოებრივი კონტროლი“. საზოგადოების ინფორმირებულობა ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე, მათ მიმართ მოსახლეობის ნდობის ჩამოყალიბების წინაპირობაა. გადაწყვეტილების მიღების პროცესის ღიაობა და მიღებული გადაწყვეტილების (ინფორმაციის) ხელმისაწვდომობა მოქალაქეებში აჩენს განცდას, რომ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს კეთილსინდისიერად და კანონის ფარგლებში. ხოლო, როდესაც ხდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელოვნური შეფერხება, ეს იწვევს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ მოქალაქის ნდობის შემცირებას.²

ინფორმაციის ღიაობა არის საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების ინსტრუმენტი. ინფორმაციის თავისუფლება უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულებების ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე.

ხალხის მიერ არჩეული ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების ღიად მიღება - დოკუმენტების ხელმისაწვდომობითა და პროცესის საჯაროობით - იძლევა შესაძლებლობას, გადაწყვეტილება იყოს კვალიფიციური და საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული.

ინფორმაციის თავისუფლების პირისპირ დგას საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე აღიარებული პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება, რომელიც, როგორც ადამიანის უმნიშვნელოვანესი უფლება, ქმნის პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიებს. სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოებებისაგან განსხვავებით, პერსონალური მონაცემების საიდუმლოება არ საჭიროებს დამატებით ღონისძიებებს.

1 „პაჩნიოხობა ღია მმართველობისთვის“ (Open Government Partnership - OGP) დაფუძნდა 2011 წლის სექტემბერში, ხოგოც ღია და ანგაჩიშვადებუი მთავრობების შექმნისადმი მიძღვნილი საეჩთაშორისო პდატვოჩმა, ხომელსაც საქაჩთველო 2011 წლის სექტემბერშივე შეუეჩთდა.

2 იხ. ინფოჩმაციის თავისუფლება - გზამკვლევი საჯარო დაწესებულებებისთვის (მოიხე გამოცემა), ავგოჩები: პაატა ტუჩავა, დევან ავადიშვილი, სეჩვი ჯოხბენაძე. ჰედაქტოჩი: გოიჩვი კდიაშვილი. აგეეთვე, იხ. ინფოჩმაციის თავისუფლება საქაჩთველოში, ავგოჩები: თამაჩ ჩუგოშვილი, ნინო დოშაჩია, თამაჩ კოჩიაია.

უფლება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე არ არის აბსოლუტური. ხშირად აუცილებელი ხდება მისი დაბალანსება სხვა უფლებებთან მიმართებით. ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ურთიერთსაპირისპირო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვას ემსახურება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (სზაკ) მე-3 თავი და საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.

ინფორმაციის თავისუფლებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი არის ადმინისტრაციული სამართლის ის ერთ-ერთი დარგი, სადაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინტერესთა შეპირისპირების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი.

2. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების ახსი და მისი უზღუდველყოფის პირობები

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი განმარტებები მოცემულია სზაკ-ში.³ სზაკ-ში მოცემული დეფინიცია ადგენს, რომ საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებისათვის ან პერსონალური მონაცემებისათვის მიკუთვნებული ინფორმაციისა.⁴ აღნიშნული განმარტება მიუთითებს ინფორმაციის ტრანსფორმირების მიმართულებას საიდუმლოებიდან საჯაროობისკენ. ამას ადასტურებს საქართველოს კონსტიტუციის მე-18(2) მუხლიც, რომლის თანახმად, ყველას აქვს უფლება, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებული სახელმწიფო საიდუმლოებად.

ზემოთ მოცემული დეფინიციების განმარტება, მათი პრაქტიკაში გამოყენებისას, არ არის მარტივი, პირველ რიგში, იმის გათვალისწინებით, რომ წინასწარ შეუძლებელია საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის კლასიფიკაცია (გამიჯნა) ღია და დახურულ ინფორმაციად და იმის განსაზღვრა, რომელი უნდა გაიცეს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის

3 სზაკ-ის მე-2 მუხლის პიხვედი ნაწილის „მ“ და „ნ“ პუნქტები: საჯარო ინფორმაცია ახის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პირობითად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

საიდუმლო ინფორმაცია ახის საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას.

4 სზაკ-ის 28-ე მუხლის პიხვედი ნაწილი.

საფუძველზე. უფრო მეტიც, ინფორმაციის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციისთვის მიკუთვნება, ყოველთვის არ ნიშნავს მასზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვას.

საჯარო დაწესებულებაში საჯარო ინფორმაცია გვხვდება ორი განსხვავებული ფორმით, რომელთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს:

- საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაცია, რომლის ღიაობა არ ახდენს გავლენას მესამე პირების კანონით დაცულ ინტერესებზე. შესაბამისად, არ არსებობს ამ ინფორმაციის ღიაობის შეზღუდვის საფუძვლები. ასეთი ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი და დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს განმცხადებელს (მისი ხელმისაწვდომობა გულისხმობს მოქმედების⁵ განხორციელებას);
- საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაცია, რომლის ღიაობა ახდენს გავლენას მესამე პირების კანონით დაცულ ინტერესებზე და მისი გაცემა (ადმინისტრაციული მოქმედების - რეალაქტის განხორციელება) დამოკიდებულია მისი გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაზე (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე).

პრაქტიკაში ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით კითხვა (გაიცეს თუ არა ინფორმაცია) არ ჩნდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოთხოვნილია საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ისეთი ინფორმაციის გაცემა, რომელიც არ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას (**მაგალითად, მუნიციპალიტეტის მეხიაში შესული განცხადება, ხომდითაც მოთხოვნილია ბავშვის მხაჩაძეების მუნიციპალიტეტის პირობების შესახებ ინფორმაციის გაცემა**) ან როდესაც მოთხოვნილია ისეთი ინფორმაციის გაცემა, რომელიც მიეკუთვნება კანონით დადგენილ საიდუმლო ინფორმაციის კატეგორიას, მაგრამ იგივე კანონი ადგენს მისი ღიაობის ვალდებულებას (**მაგალითად, მუნიციპალიტეტის მეხიაში შესული განცხადებით მოთხოვნილია ინფორმაცია მეხიის საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პიხის ვინაობისა და სამსახურებრივი მისამართის შესახებ**).

პრაქტიკაში ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით კითხვა (გაიცეს თუ არა ინფორმაცია) ჩნდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, რომლის გასაიდუმლოების ან ღიაობის უპირატესი ინტერესი არ არის კანონით დადგენილი და საჯარო დაწესებულებას აქვს მინიჭებული მის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების დისკრეციული უფლებამოსილება (დანვრილებით იხ. III.3 თავი).

5 აქ იგულისხმება სზაკ-ით გათვადისწინებული ისეთი მოქმედება, ხომელიც ახ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ეს სასამართლო პრაქტიკაში და იუხიდიუდ დიგეხაგუხაში იწოდება ადმინისტრაციულ ჰედაქტად. იხ., პაატა გუხავა, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2020, გვ. 197.

წინამდებარე დოკუმენტი ემსახურება რეკომენდაციების შემუშავებას ისეთი შემთხვევების განხილვის საფუძველზე, როდესაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ინფორმაციის გაცემაზე გადანაცვეტილების მიღება უნდა მოხდეს საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესების შეპირისპირების საფუძველზე.

II. პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. პერსონალური მონაცემების ცნება და ახსი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნტის თანახმად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

ზემოთ მოცემული პერსონალური მონაცემების ლეგალური დეფინიციის მიზნებისთვის, აუცილებელი არ არის, მონაცემთა სუბიექტის რეალურად იდენტიფიცირება, საკმარისია, ის იყოს იდენტიფიცირებადი. პირი იდენტიფიცირებადია, თუ არსებობს საკმარისი ელემენტები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მისი პირდაპირი ან ირიბი იდენტიფიცირება. ვინაიდან ბევრი სახელი არ არის უნიკალური, პირის ვინაობის დადგენას შეიძლება დასჭირდეს დამატებითი იდენტიფიკატორები სხვა პირთან არევის თავიდან ასაცილებლად. იმ პირის იდენტიფიცირებისათვის, რომელსაც კონკრეტული ინფორმაცია უკავშირდება, ზოგჯერ საჭიროა პირდაპირი და ირიბი მახასიათებლების კომბინირება. ხშირად, ამ მიზნით, იყენებენ დაბადების ადგილსა და თარიღს.

მაგალითად, როდესაც განმცხადებელი ითხოვს ინფორმაციას საქართველოში კონკრეტული გვახის ჩაღწერის შესახებ, ეს ინფორმაცია ახ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს. მაგამ ჩაღწერის მოთხოვნით ინფორმაცია, თუ ჩამდენი მაჭაჩაშვილია ჩვენი გვახის ჩაღწერის დასავლეთ საქართველოში, სქესის, დაბადების თარიღისა და ჩვენი გვახის ადგილის მითითებით, ეს დამატებითი მონაცემები იძლევა პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას და შეიცავს პერსონალურ მონაცემებს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება დამოუკიდებელი ფუნდამენტური უფლებაა თუ პირადი ცხოვრების პატივისცემის ფარგლებში დაცულ უფლებათა ნაწილს მიეკუთვნება, საინტერესო სადისკუსიო თემაა, მაგრამ აღნიშნული საკითხი ცდება წინამდებარე პუბლიკაციის ფარგლებს. თუმცა, ფაქტია ის, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვა თანამედროვე და აქტუალურ უფლებად მიიჩნევა. აღსანიშნავია ისიც, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება. მისი კანონიერი შეზღუდვის ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომელსაც აღიარებს, როგორც ევროპის საბჭოს, ისე ევროკავშირის სამართალი, არის სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.⁶

⁶ მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, გვ. 64.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას, აუცილებელია, შემდეგი სტანდარტების დაცვა: პერსონალურ მონაცემთა დამუშავება უნდა იყოს სამართლიანი, ხორციელდებოდეს კონკრეტული მიზნებით, შესაბამისი პირის თანხმობით ან ლეგიტიმური საფუძვლით, რომელსაც ადგენს კანონმდებლობა. ადამიანებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ თავიანთ პერსონალურ მონაცემებზე და ჰქონდეთ მათი გასწორების შესაძლებლობა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობას უნდა აკონტროლებდეს დამოუკიდებელი ორგანო⁷ (როგორც, საქართველოს შემთხვევაში, არის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური).

2. საჯარო დაწესებულებებში დაცული პერსონალური მონაცემები

ინფორმაციის თავისუფლებაზე საუბრისას აქტუალურია პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი.

საჯარო დაწესებულებები ისევე, როგორც კერძო კორპორაციები, ფლობენ დიდი მოცულობით ინფორმაციას, რომელიც მოიცავს, როგორც ყველაზე „მარტივ“ ინფორმაციას - მაგალითად, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილი, ისე ბევრად უფრო მნიშვნელოვან (სენსიტიურ) ინფორმაციას, როგორცაა, მაგალითად, სამედიცინო ჩანაწერები.

ინფორმაციის მოცულობა და კომპლექსურობა, რომელიც მუშავდება საჯარო და კერძო დაწესებულებების მიერ, გაიზარდა ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად. კერძოდ, კომპიუტერიზაციის პროცესმა მნიშვნელოვნად გააადვილა დიდი მოცულობის ინფორმაციის გაცვლა დაწესებულებებს, ქვეყნებს, პირებს შორის.

თავისთავად არაფერია მიუღებელი იმაში, რომ სახელმწიფო ორგანოები და კერძო დაწესებულებები ფლობენ პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას. ამ ინფორმაციის გარეშე, ისინი ვერ შეძლებდნენ იმ მომსახურების გაწევას, რასაც საზოგადოება ელოდება მათგან, ანუ ისინი ვერ შეძლებდნენ ადამიანის უფლებების რეალიზებას. თუმცა, უპირობო მიდგომა, რომ სახელმწიფოს ხელში დიდი რაოდენობით ინფორმაციის თავმოყრა ხდება საზოგადოების საკეთილდღეოდ, არის სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობის მოძველებული (და ძალიან არადემოკრატიული) ხედვა. თუ ადამიანები საჯარო დაწესებულებებს აწვდიან მათი პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას, როგორცაა, მაგალითად, ვინაობა, მისამართი და დაბადების თარიღი, ეს ინფორმაცია არ ხდება საჯარო დაწესებულებების საკუთრება. აღნიშნული ინფორმაცია, საჯარო დაწესებულებისთვის გადაცემის მიუხედავად, ეკუთვნით მონაცემთა სუბიექტებს.

⁷ მონაცემთა დაცვის ევროპული სამაჩთის სახელმძღვანელო, 2018, გვ. 23.

პერსონალური მონაცემები არის თითოეული ადამიანის ინდივიდუალობის ნიშანი და მისი დაცვა ადამიანის ღირსების დაცვის ერთ-ერთი ელემენტია. სახელმწიფოს აქვს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულება მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართ: სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტის დაცვა როგორც ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან პირადი ცხოვრების უფლებით სარგებლობაში ჩარევისაგან (ნეგატიური ვალდებულება), ასევე მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების მესამე პირთაგან დაცვა (პოზიტიური ვალდებულება) - მესამე პირებს ხელი არ უნდა მიუწვდებოდეთ მონაცემთა სუბიექტის პერსონალურ მონაცემებზე.

საჯარო დაწესებულებების უფლება პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე ეფუძნება მისი კონფიდენციალურობის პრეზუმფციას. აღნიშნული გულისხმობს მონაცემთა სუბიექტის ნდობას, რომ მისი პერსონალური მონაცემები საჯარო დაწესებულების მიერ დამუშავებული იქნება კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.⁸ ასეთი ნდობის გარეშე, საფრთხე ექმნება მოქალაქესა და საჯარო დაწესებულებებს შორის ნდობაზე და კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებულ ურთიერთობას, რაც ნეგატიურ გავლენას მოახდენს არა მარტო ცალკეული პირების, არამედ საზოგადოების ინტერესებზე.⁹

ამრიგად, საჯარო და კერძო დაწესებულების მიერ კონკრეტული პირების შესახებ ინფორმაციის ფლობა არის საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური მოვლენა. იმავდროულად, ეს იწვევს სამართლიან ნუხილს, რომ მესამე პირებმა ძალიან ბევრი იციან მათი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ. ეს შიში ხშირად გამართლებულია და სწორედ ამით არის განპირობებული ადამიანებისთვის მინიჭებული უფლება, ჰქონდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რა მონაცემებს ფლობს საჯარო დაწესებულება მათ შესახებ. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არის ერთ-ერთი გზა იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირის პირადი სფეროს ხელშეუხებლობა იქნას დაცული.

8 პერსონალური ინფორმაციის დამუშავება მაშინ აჩის კანონიერი, თუ ის ხდება „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით დადგენილი კანონიერების, მიზნის დეგიტიზაციის, მინიმალურობის, ინფორმაციის სიზუსტის, დიმიტირებული შენახვის და ინფორმაციული უსაფრთხოების პრინციპებზე დაყრდნობით.

9 ხოგოჩ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაშია (Z v. Finland, 25.07.1997) აღნიშნული, ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მიმართ პაციენტის ნდობის დაცვის გახეშე პაციენტი, რომელიც საჭიროებს სამედიცინო მომსახურებას, თავს შეიკავებს მკუხნარობისათვის საჭირო პიხადი და ინგიმუხი ხასიათის ინფორმაციის მიწოდებაზე, ხაც საფრთხეს შეუქმნის ახა მაჩო პაციენტის, ახამედ საზოგადოების (ავადმყოფობის გავრცელების ხისკის გათვადისწინებით) ჯანმრთელობის დაცვის ინგიეხებს.

III. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ფორმა, უფლებამოსილი სუბიექტი და გადაწყვეტილების მიღების პროცესი

1. ინფორმაციის მოთხოვნის უფლებამოსილება და მოთხოვნის ფორმა

სზაკ-ის 37-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია საჯარო დაწესებულებაში წერილობითი **განცხადების** წარდგენის გზით. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით განცხადების წარდგენის უფლება აქვს ყველას - ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. ეს უფლება ასევე შეუზღუდავად ვრცელდება ბავშვზე.¹⁰ ბავშვს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მისი ასაკისა და ინდივიდუალური შესაძლებლობის შესაბამისი განცხადების ფორმის გამოყენებით, დააყენოს მოთხოვნა საჯარო დაწესებულებაში.

განცხადების წარდგენის უფლებამოსილება, თავის მხრივ, ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს, დაინტერესებულ მხარეს დაეხმაროს, მათ შორის, განცხადების შეტანის ეტაპზე.¹¹

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით წარდგენილი განცხადების შინაარსის მიმართ ვრცელდება სზაკ-ის 78-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები.¹² განცხადება ექვემდებარება რეგისტრაციას სზაკ-ის 79-ე მუხლის შესაბამისად და გადის დასაშვებობის შემოწმებას.¹³

განცხადების შინაარსთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელი არ არის, განმცხადებელმა ზუსტად აღწეროს მოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსი. ეს ხშირად შეუძლებელიც არის, რამდენადაც განმცხადებელი არ იცნობს მოთხოვნილ დოკუმენტს და მისი შინაარსის გასაცნობად ითხოვს მას. თუ ადმინისტრაციული ორგანო ვერ ადგენს განმცხადებლის მოთხოვნის შინაარსს, ის ვალდებულია, სამართლებრივი დახმარება გაუწიოს განმცხადებელს მოთხოვნის ფორმულირებაში.

10 იხ. ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-9 თავი: ბავშვის უფლება მაჩივმსაჯულებაზე.

11 სზაკ-ის 85-ე მუხლი:

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამაჩივლები დახმარების გაწევის მოვალეობა

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, დაინტერესებულ მხარეს განუმარტოს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წახმობის სახე და ვადა, აჩვენოს ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან ადმინისტრაციული საჩივარი, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ.

2. ადმინისტრაციულმა ორგანომ ბავშვს ინფორმაცია უნდა მიაწოდოს და კონსულტაცია უნდა გაუწიოს კუდგუხედი მგძნობიარობის გათვალისწინებით, მისი ასაკის, სქესისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად, მისთვის გასაგები ენით ან/და კომუნიკაციის სხვა, დამხმარე საშუალებებით.

12 სზაკ-ის 78-ე მუხლი ადგენს განცხადების ჩვეულებებს.

13 იხ. დანართი №1 - გადაწყვეტილების მიღების სქემა.

აუცილებელი არ არის განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი და/ან მიზანი.¹⁴ ეს ის გამონაკლისი შემთხვევაა, როდესაც საკმარისია **ზოგად-აბსტრაქტული** ინტერესი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელს არ მოეთხოვება მოთხოვნის დასაბუთება, რაც უფრო სრულყოფილია განცხადება და შეიცავს ამომწურავ ინფორმაციას (მოთხოვნილი ინფორმაციის აღწერას), მით უფრო მაღალია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხარისხი.

სზაკ-ის 37-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული უფლება, რომ საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირს არ მოეთხოვება ინფორმაციის მოთხოვნის მოტივის ან მიზნის დასახელება, შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს მესამე პირის პერსონალურ მონაცემებს. ამ შემთხვევაში, განმცხადებელმა უნდა მიუთითოს მისი ინდივიდუალურ-კონკრეტული ინტერესი (ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი და მიზანი), რომელზე დაყრდნობითაც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დაადგინოს განმცხადებლის ინტერესის პრიორიტეტულობა ინფორმაციის კონფიდენციალობის ინტერესზე და გადაწყვიტოს ინფორმაციის გაცემა/არგაცემის საკითხი. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ვინაიდან ინფორმაციის ღიაობით დაინტერესებულმა პირმა არ წარმოადგინა სათანადო და ლეგიტიმური საფუძველი ან საკმარისი არგუმენტი პერსონალურ მონაცემთა გადაცემის მართლზომიერების დასაბუთებლად, კომისიამ ვერ შეძლო მხარეთა საპირისპირო ინტერესების ერთმანეთთან შედარება. ასევე, მან ვერ შეძლო დაედგინა, არსებობდა თუ არა რაიმე მიზეზი მონაცემთა სუბიექტის ლეგიტიმური ინტერესების დარღვევისთვის.¹⁵

მაგალითად, ჩოქესაც განმცხადებელი ითხოვს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის მეჩიის სოციალური პროგრამების ფაილებში გაცემული დახმავების შესახებ, ბუნეფიციალების ვინაობის, დახმავების სახეებისა და ოდენობის მითითებით, განმცხადებელმა ადმინისტრაციული ორგანოსთვის წახვენიდ განცხადებაში უნდა მიუთითოს, ხა სამართლებრივი ინტერესი აქვს მას სოციალური დახმავების მიმღებთა პეისონალური მონაცემების (ჩაც დაცულია „პეისონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით) მიმართ. აღნიშნული ინფორმაცია ადმინისტრაციულ ორგანოს მისცემს პეისონალური მონაცემების დაცვისა და ინფორმაციის ღიაობის ინტერესების შოხის უპიხაგესი ინტერესის გამოვდენისა და სწოხი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სზაკ-ის 37-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც სავალდებულოდ არ მიიჩნევა განცხადებაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივის ან მიზნის მითითებას, არ უნდა იქნეს წაკითხული სზაკ-ის სხვა მუხლებისგან იზოლირებულად. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისას მოტივის ან მიზნის მითითების ვალდებულებისგან განმცხადებლის გათავისუფლება ყოველთვის არ არის კანონის ინტერესში. შესაბამისად, როდესაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ინტერესი ეწინააღმდეგება სხვა, კანონით

¹⁴ სზაკ-ის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

¹⁵ საქმე C-28/08, იხ. მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი 2015, გვ. 38.

დაცულ ინტერესებს, განმცხადებელმა უნდა წარადგინოს მოთხოვნის უპირატესი ინტერესის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ასეთ დროს საჯარო დაწესებულებამ შეასრულოს სზაკ-ის 85-ე მუხლით დადგენილი სამართლებრივი დახმარების განწვევის მოვალეობა და განმცხადებელს გაუწიოს კონსულტაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. თუ განმცხადებელი ბავშვია,¹⁶ ადმინისტრაციულმა ორგანომ მას ინფორმაცია უნდა მიანოდოს და კონსულტაცია გაუწიოს მისი ასაკის, სქესისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად, მისთვის გასაგები ენით ან/და კომუნიკაციის სხვა, დამხმარე საშუალებებით.¹⁷

2. განცხადების წახდგენა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში

სზაკ-ის 77-ე მუხლის თანახმად, განცხადება შეტანილი უნდა იქნეს იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც უფლებამოსილია, გადაწყვიტოს განცხადებაში დასმული საკითხი, ხოლო მე-80 მუხლის თანახმად, თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, გადაუგზავნოს განცხადება უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

აღნიშნული დათქმა არ ვრცელდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით შეტანილ განცხადებაზე. კერძოდ, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია არ არის ადრესატ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელშიც შედის განცხადება, არ არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, მას არ აქვს ვალდებულება, განცხადება გადააგზავნოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში. ასეთი შემთხვევა არის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

აქვე, კიდევ ერთხელ, ყურადღება უნდა მიექცეს სზაკ-ის 85-ე მუხლით დადგენილ სამართლებრივი დახმარების ვალდებულებას, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, დაეხმაროს განმცხადებელს უფლებამოსილი ორგანოს დადგენაში, სულ მცირე, განმცხადებლის მიერ დამატებითი შეკითხვის დასმის შემთხვევაში.

როდესაც მოთხოვნილია საჯარო დაწესებულებაში დაცული ისეთი ინფორმაცია, რომელიც სხვა საჯარო დაწესებულებაშიც შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი, ეს არ შეიძლება გახდეს ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისა და იმ დაწესებულებაში გადამისამართების საფუძველი, რომელმაც შექმნა ეს ინფორმაცია (დოკუმენტი).

¹⁶ 18 წლამდე პიჩი.

¹⁷ სზაკ-ის 85-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

3. გადაწყვეტილების მიღება

ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხის განხილვა მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება არის საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლება.

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საჯარო ინფორმაციის გაცემის გადაწყვეტილების მიღების პროცესი, შედგება შემდეგი სტადიებისგან:

1. ფაქტების შესწავლა;
2. შესაბამისი სამაჩთღის ნოჩმის მოძიება;
3. ფაქტისა და სამაჩთღის ნოჩმების შეპიხისპიხება (სუბსუმცია);
4. სამაჩთღებხივი შედეგების განსაზღვრა/გადაწყვეტილების მიღება.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხის გადაწყვეტისას, როდესაც საჯარო ინფორმაციის ღიაობის უფლება უპირისპირდება ინფორმაციის საიდუმლოობის უფლებას, სამართლებრივი შედეგის განსაზღვრისას/გადაწყვეტილების მიღებისას კანონმდებელი საჯარო დაწესებულებას ანიჭებს თავისუფალ სივრცეს - დისკრეციულ უფლებამოსილებას.

სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

ტერმინი დისკრეციული უფლებამოსილება არ გვხვდება ცალკეული კანონების ტექსტებში, მათ შორის, არც სზაკ-ის მე-3 თავში და არც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, ნორმატიულ აქტებში ის გვხვდება განუსაზღვრელი ცნებების და შეფასების თავისუფალი სივრცის სახით.

დისკრეციული უფლებამოსილების უკეთ გააზრების საილუსტრაციოდ, შესაძლოა განხილული იქნეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი, რომელშიც ჩამოთვლილი მონაცემთა დამუშავების საფუძველები იყოფა ორად: საფუძველების ერთი ნაწილი არის იმპერატიული და გადაწყვეტილების მიღებისას არ ტოვებს თავისუფალ სივრცეს, ხოლო მეორე ნაწილი განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმებს, რომელიც საჭიროებს ინტერპრეტაციას და შეფასებას ნორმის მიზნებზე დაყრდნობით.

ზემოთ აღნიშნული ნორმის **პირველი ჯგუფი**, სადაც კანონმდებელი ზუსტად ადგენს მოქმედების საფუძველებს, აერთიანებს შემდეგ პუნქტებს: ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; ბ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით; გ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად; ვ) კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა; თ) მონაცემთა

დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).

მეორე ჯგუფში, სადაც კანონმდებელი ადგენს გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების თავისუფალ სივრცეს, აერთიანებს შემდეგ პუნქტებს: დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად; ე) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი; ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად. ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში დისკრეციული უფლებამოსილება პრაქტიკულ დატვირთვას იძენს, რადგან ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული ხდება, გადაწყვეტილება მიიღოს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების საფუძველზე.

სზაკ-ის მე-6 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.

დისკრეციული უფლებამოსილების უშეცდომოდ განხორციელების ინსტრუმენტი არის სზაკ-ის მე-7 მუხლში მოცემული საჯარო და კერძო ინტერესების **პროპორციულობის** პრინციპი.

პერსონალური მონაცემების დამუშავებისას პროპორციულობის პრინციპის დაცვა ნიშნავს იმას, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავება უნდა ემსახუროდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას და ეს ღონისძიება უნდა იყოს გამოსადეგი, აუცილებელი და თანაბომიერი.

ლეგიტიმური მიზანი

პერსონალური მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისთვის. ლეგიტიმური ინტერესი არის პერსონალური მონაცემების დამუშავების მიმართ არსებული კონკრეტული ინტერესი, რომელსაც გააჩნია საკანონმდებლო საფუძველი.

გამოსადეგი

პერსონალური მონაცემების დამუშავება არის გამოსადეგი, თუ ის შესაძლებელს ხდის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. ხშირად სახეზეა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ალტერნატიული საშუალებები. ასეთ დროს, უნდა შეირჩეს ის გამოსადეგი ღონისძიება, რომელიც არის აუცილებელი.

აუცილებელი

პერსონალური მონაცემების დამუშავება მაშინ არის აუცილებელი, როდესაც ლეგიტიმური მიზნის მიღწევა შეუძლებელია სხვა უფრო მსუბუქი საშუალებით. შესაბამისად, როდესაც ინფორმაციის დამუშავებელს შეუძლია გამოიყენოს სხვა უფრო მსუბუქი საშუალება, რომელიც ინფორმაციის დამუშავების ლეგიტიმურ მიზანს ხდის მიღწევადს, ამ შემთხვევაში სახეზეა პერსონალური მონაცემების დამუშავების აუცილებლობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, აუცილებლობის ცნება გულისხმობს, რომ ჩარევა შეესაბამება გადაუდებელ სოციალურ საჭიროებას. იმის შეფასებისას, რამდენად აუცილებელია კონკრეტული ღონისძიება გადაუდებელ სოციალურ საჭიროებაზე რეაგირებისათვის, სასამართლო განიხილავს ღონისძიების შესაბამისობას მისაღწევ მიზანთან. ამ თვალსაზრისით უნდა მოხდეს იმის დადგენა, არის თუ არა ჩარევის მიზანი იმ პრობლემაზე რეაგირება, რომელიც, ჩაურევლად, ზიანს მოუტანდა საზოგადოებას; რამდენად არსებობს მტკიცებულება, რომ ჩარევა შეამცირებს საზიანო შედეგს. აუცილებლობის ტესტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, ჩარევა უნდა იყოს პროპორციული ანუ დაცულ უფლებაში ჩარევის მასშტაბი არ იყოს იმაზე მეტი, ვიდრე საჭიროა კანონიერი მიზნის მისაღწევად. პროპორციულობის ტესტთან შესაბამისობის კუთხით გასათვალისწინებელია შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორები: ჩარევის მასშტაბი, განსაკუთრებით, იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებსაც ეხებათ ჩარევა; და დამცავი ან წინასწარი გაფრთხილების მექანიზმები, რომლებიც ზღუდავს ჩარევის მასშტაბს ან ახდენს უარყოფით გავლენას ადამიანის უფლებაზე.¹⁸

თანაზომიერი

აუცილებლობის ტესტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, ჩარევა უნდა იყოს თანაზომიერი ანუ დაცულ უფლებაში ჩარევის მასშტაბი არ იყოს იმაზე მეტი, ვიდრე საჭიროა კანონიერი მიზნის მისაღწევად. პროპორციულობის ტესტთან შესაბამისობის კუთხით გასათვალისწინებელია შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორები: ჩარევის მასშტაბი, განსაკუთრებით, იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებსაც ეხებათ ჩარევა; და დამცავი ან წინასწარი გაფრთხილების მექანიზმები, რომლებიც ზღუდავს ჩარევის მასშტაბს ან უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის უფლებაზე. პერსონალური მონაცემების დამუშავება არის თანაზომიერი, თუ კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთისთვის მიყენებული ზიანი არ აღემატება იმ სიკეთეს, რომლის დასაცავადაც ხდება პერსონალური მონაცემების დამუშავება.¹⁹

ინტერესთა შეპირისპირება უნდა მოხდეს ობიექტური შეფასების პრინციპის მხედველობაში მიღებით, რომელიც ეფუძნება საშუალო ადამიანის, საზოგადოების სტანდარტული წევრის მგრძობიარობის კრიტერიუმს. კანონმდებელი იყენებს ღირებულებათა შეფასების მეთოდს. ის ეფუძნება პროპორციულობის და პრიორიტეტულობის პრინციპებს. ნაკლები სოციალური ღირებულება ეწირება უფრო მნიშვნელოვან სოციალურ ღირებულებას.²⁰

18 მონაცემთა დაცვის ევროპული სამაჩთის სახელმძღვანელო, 2018, გვ. 50.

19 მონაცემთა დაცვის ევროპული სამაჩთის სახელმძღვანელო, 2018, გვ. 50.

20 ნუგზახ სხიგდაძე, პერსონალური მონაცემთა დაცვის სამაჩთილები ანუ ასპექტები, თბილისი 2017, გვ. 157.

შემაჯამებელი დასკვნა

პერსონალური მონაცემების დამუშავების პროპორციულობა ნიშნავს, რომ მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვის შედეგად მიღებული სარგებელი (ამ შემთხვევაში, პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გაცემა) გადაწონის ზიანს, რომელსაც ის აყენებს მის (მონაცემთა სუბიექტის) უფლებას. მონაცემთა დაცვის უფლებაზე ზიანისა და რისკების შესამცირებლად, მნიშვნელოვანია, შეზღუდვა მოიცავდეს დაცვის სათანადო მექანიზმებს.

4. აბსოლუტუხად ღია და აბსოლუტუხად დახუჭული მონაცემების შემცველი ინფორმაცია

პერსონალური მონაცემების დაცვისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ინტერესების შეპირისპირებაზე მსჯელობამდე, განხილული უნდა იქნეს ორი სხვადასხვა შემთხვევა:

- საჯარო ინფორმაციის ღიაობა არ ექვემდებარება ინტერესთა შეპირისპირების საფუძველზე შეზღუდვას და ის სარგებლობს აბსოლუტური პრივილეგიით (ანუ, მისი გაცემა უნდა მოხდეს აუცილებლად);
- პერსონალური მონაცემების დაცვა ექვევა აბსოლუტური პრივილეგიის ქვეშ და მონაცემთა დაცვას უნდა მიენიჭოს უპირატესობა ინფორმაციის ღიაობასთან შედარებით (ანუ, არ უნდა იქნეს გაცემული პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია).

საჯარო ინფორმაციის ღიაობის აბსოლუტური პრივილეგიით დაცული ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები:

1. იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომლებსაც უკავიათ თანამდებობა ან ევალუბათ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ან საზოგადოებასთან ურთიერთობა ან/და მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მიწოდება,²¹ არის ღია ინფორმაცია (მიუხედავად მათი პერსონალური მონაცემების მიკუთვნებადობისა) და იგი არ შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას ინტერესთა შეპირისპირებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უპირატეს ინტერესზე მითითებით. აგრეთვე, საჯარო მონაცემთა ბაზაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობისა და სამსახურებრივი მისამართის²² (რომლებიც მიეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს) გასაიდუმლოება დაუშვებელია. ეს გამომდინარეობს საჯარო მონაცემთა ღიაობის სისტემის ფუნქციონირების და მისი ხელმისაწვდომობის ინტერესებიდან.

²¹ სზაკ-ის 42-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

²² სზაკ-ის 42-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი.

2. არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია არის საჯარო.²³ აღნიშნული გამართლებულია იმით, რომ პირის განაცხადი საჯარო პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვის სურვილზე გულისხმობს მზადყოფნას, რომ მისი პირადი ცხოვრება მოექცევა საზოგადოების ინტერესის სფეროში, რამდენადაც ეს აუცილებელია საზოგადოების წევრების მხრიდან კანდიდატის პიროვნების მიმართ ობიექტური წარმოდგენის შესაქმნელად.

3. თანამდებობის პირის, აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის პერსონალური მონაცემები არის საჯარო.²⁴ ეს ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს - ინფორმაციის გამჭვირვალობას. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს არა მარტო თანამდებობის პირების, არამედ, მათი ოჯახის წევრთა პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობას - ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს, მიიღოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ასლი და გაეცნოს მას.²⁵

4. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები და მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული დოკუმენტაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი პირისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.²⁶

5. საქართველოს საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს საარჩევნო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობას ყველასათვის.²⁷ საარჩევნო დოკუმენტაცია არის საარჩევნო კომისიაში შესული და საარჩევნო კომისიიდან გასული განცხადება, საჩივარი, წერილი, ოქმი, საარჩევნო ბიულეტენი, სპეციალური კონვერტი, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტი, საკონტროლო ფურცელი, სარეგისტრაციო ჟურნალი, ამომრჩეველთა სია, ამომრჩევლის ბარათი, საარჩევნო კომისიის წევრის ახსნა-განმარტება.²⁸

აბსოლუტური პრივილეგიით დაცული პერსონალური მონაცემების საილუსტრაციო მაგალითები:

არა მარტო ინფორმაციის ღიაობა, არამედ პერსონალური მონაცემების საიდუმლოობა, შეიძლება დაცული იქნას აბსოლუტური პრივილეგიით. პერსონალური მონაცემები, რომელიც პირისთვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით (პროფესიული საიდუმლოება²⁹), არის ასეთი კატეგორიის მონაცემი და ის დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ეს ნიშნავს იმას, რომ ის არ ექვემდებარება ინტერესთა შეპირისპირებას და საჯაროობის შესახებ გადანყვეტილების მიღებას. პროფესიულ

23 სზაკ-ის 42-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

24 სზაკ-ის 44-ე მუხლი.

25 „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი.

26 „საჯარო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პიხვედი პუნქტი.

27 საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის მე-14 პუნქტი.

28 საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის 3^ე ქვეპუნქტი.

29 სზაკ-ის 27^ე მუხლი.

საიდუმლოებას მიეკუთვნება, მაგალითად, აღსარების საიდუმლოება, აგრეთვე, პარლამენტის წევრის, ექიმის, ჟურნალისტის, უფლებადამცველის პროფესიული საქმიანობის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს.³⁰

5. ინტერესთა შეპირისპირება ინფორმაციის თავისუფლების სამაჩთაღში

სზაკ-ის 28-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებისათვის ან პერსონალური მონაცემებისათვის მიკუთვნებული ინფორმაციისა.

რამდენადაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება, პერსონალურ მონაცემთა შემცველი ინფორმაციის გაცემის/ღიაობის/გასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ინტერესთა შეპირისპირების საფუძველზე.

ინტერესთა შეპირისპირება განიმარტება როგორც არგუმენტაციის ტექნიკა, რომელიც ემსახურება გადაწყვეტილების მიმღები პირისათვის სამართლის ნორმით მინიჭებული მოქმედების თავისუფლების კონკრეტიზაციას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს საერთო სასამართლოები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ ინტერესთა შეპირისპირებაზე და დაბალანსებული გადაწყვეტილების მიღებაზე.


რაც უფრო ზოგადია კანონის ფორმულირება, მით უფრო მეტია მისი ინტერპრეტაციის საჭიროება, რათა დადგინდეს სამართლის ნორმის „ნამდვილი“ ნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტად ფორმულირებული ნორმა უზრუნველყოფს დაცვის მაღალ ხარისხს, თუმცა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ზოგადი ნორმები ყოველთვის დაცვის უფრო ნაკლებ ხარისხს გვთავაზობს.

ზუსტად ფორმულირებული ნორმა მის გამომყენებელს უტოვებს ნაკლებ სამუშაოს ინტერპრეტაციისა და კონკრეტიზაციის თვალსაზრისით (მაგალითად, ზემოთ ნახსენები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „ვ“, „თ“ პუნქტები). ზოგადი ნორმები გამოირჩევა კანონმდებლის მიერ შეგნებულად დატოვებული ცარიელი ადგილებით და ნორმის გამომყენებელს (გადაწყვეტილების მიმღებს) აძლევს კვალიფიციური მოქმედების საშუალებას, რათა შეავსოს ეს სიცარიელე (მაგალითად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „დ“, „ე“, „ზ“ პუნქტები). ასეთი მოქმედების თავისუფლება მაშინ არის მნიშვნელოვანი, როდესაც კანონმდებელს არ შეუძლია წინასწარ, პროფესიული სიზუსტით განსაზღვროს იმ კონკრეტულ სფეროში მომავალში მოსალოდნელი შემთხვევები.

³⁰ ნუგზაჩ სხიხგაძე, *პერსონალური მონაცემთა დაცვის სამაჩთაღები ასპექტები*, თბილისი 2017, გვ. 159.

ადმინისტრაციული სამართლის ყველა სფეროში დომინანტი ადგილი უჭირავს დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევებს, სადაც კანონმდებელი ღიად ტოვებს კანონის ნორმით დასაცავი სიკეთის (ინტერესის) შინაარსს და ნორმის შემფარდებულს უტოვებს ამის დადგენის თავისუფლებას. დისკრეციული უფლებამოსილება და ზოგადი ნორმის განმარტების შესაძლებლობა არ ნიშნავს შეუზღუდავ უფლებამოსილებას და ეს არ უნდა გახდეს თვითნებური გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. დისკრეციული უფლებამოსილებით აღჭურვილი ნორმის შემფარდებელი/გამომყენებელი ვალდებულია, იპოვოს კონკრეტულ შემთხვევაზე მორგებული „საუკეთესო“ გადაწყვეტა.

ინტერესთა უპირისპირებისას ნორმის შემფარდებელი გადის შემდეგ ეტაპებს:



ნორმის შემფარდებელმა, პირველ რიგში, სრულყოფილად და ყოვლისმომცველად უნდა შეისწავლოს ყველა ის ფაქტორი/ინტერესი, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ინფორმაციის ღიაობის სასარგებლოდ გადანაცვლებების მიღებას. ხშირად, სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესი ხდება ინფორმაციის ღიაობის ინტერესთან შეპირისპირების საგანი.

ინტერესთა შეპირისპირების ნიმუში:

მაგალითად, სოციალური პირობების მიზნობრივი გამოყენების საზოგადოებრივი კონკრეტული მიზნით, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოთხოვნილია კონკრეტული ბენეფიციარების მიერ სეზონებით საჩვენებლობის შესახებ ინფორმაცია.

ბენეფიციარების პერსონალური მონაცემების გაცემის შესაძლებლობა უნდა შეფასდეს შემდეგი საფეხურების გავლით:

1. რა ინფორმაცია აქვს ინფორმაციის დამმუშავებელს და არის თუ არა ის **ღვივითი?**

ღონისძიება არის ლეგიტიმური, თუ ის გამომდინარეობს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განმსაზღვრელი ნორმებიდან. მაგალითად, სზაკ-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს, კანონმდებლობის მოთხოვნების სანადალმდეგოდ, განახორციელოს რაიმე ქმედება. შესაბამისად, სააგენტოს აქვს ინტერესი დაამტკიცოს მისი ქმედებების (ბენეფიციარებისთვის სერვისების უზრუნველყოფა) კანონთან შესაბამისობა.

შუალედური დასკვნა: სააგენტოს მიერ ბენეფიციარების მონაცემების გაცემა ემსახურება საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას, შესაბამისად ლეგიტიმური მიზანი სახეზეა.

2. აღნიშნული ღვივითი ინფორმაციის დასაცავად არის თუ არა ინფორმაციის დამმუშავება **გამოსადეგი?**

ინფორმაციის დამმუშავება არის გამოსადეგი, თუ ის შესაძლებელს ხდის მიზნის მიღწევას. მოცემული ღონისძიება შესაძლებელს ხდის მიზნის მიღწევას - დაადასტუროს კონკრეტული ბენეფიციარების მიერ სერვისებით სარგებლობის ფაქტი.

შუალედური დასკვნა: სახეზეა გამოსადეგობა.

3. არის თუ არა ინფორმაციის დამუშავება აუცილებელი?

პერსონალური მონაცემების დამუშავება აუცილებელია, თუ არ არსებობს მიზნის მიღწევის უფრო მსუბუქი საშუალება. რამდენადაც საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტების (ბენეფიციარების) მითითების გარეშე - მაგალითად, მათი რაოდენობის მითითებით, მათი საჭიროებების და განუვლი მომსახურების შინაარსის აღწერით, არსებობს სხვა იგივე ეფექტის მქონე უფრო მსუბუქი საშუალება.

შუალედური დასკვნა: სახეზე არ არის აუცილებლობა.

4. არის თუ არა ინფორმაციის დამუშავება თანაზომიერი?

თანაზომიერების შემოწმება ხდება ინტერესთა გამოვლენითა და შეპირისპირებით.

ა. მონაცემთა დამუშავებლის ინტერესი:

- დაამტკიცოს მისი ქმედებების კანონთან შესაბამისობა.

ბ. მონაცემთა სუბიექტის ინტერესი:

- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა;
- პერსონალური მონაცემების დაცვა.

გ. ინტერესთა შეპირისპირება - რომელი ინტერესი გადაწონის?

ერთ მხარეს დგას მონაცემთა დამუშავებლის ინტერესი, დაამტკიცოს მისი ქმედების კანონთან შესაბამისობა, ხოლო მეორე მხარეს - ბენეფიციარების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება. მოცემულ შემთხვევაში, აუცილებლობის კრიტერიუმზე დაყრდნობით ვასკვნით, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავება (მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების შეზღუდვა) არ არის თანაზომიერი შეზღუდვის მიზანთან. პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესი გადაწონის მონაცემთა დამუშავებლის ინტერესს, რამდენადაც საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტების (ბენეფიციარების) მითითების გარეშეც და შესაბამისად, არსებობს მიზნის მიღწევის უფრო მსუბუქი საშუალება.

შუალედური დასკვნა: თანაზომიერების პრინციპი დაცული არ არის.

საბოლოო დასკვნა: პერსონალური მონაცემების დამუშავება არ არის კანონიერი.

IV პერსონალური მონაცემების დაცვისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ინტერესთა შეპირისპირება

პერსონალური მონაცემების დაცვისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის საპირისპირო ინტერესების ანალიზის მიზნებისთვის განხილულია ისეთი შემთხვევები, როდესაც კანონმდებელი ადგენს საჯარო დანებსებულების დისკრეციულ უფლებამოსილებას და უტოვებს მას შეფასების თავისუფალ სივრცეს ან/და უდგენს განუსაზღვრელი ცნებების განმარტების ვალდებულებას.

1. მონაცემთა დამუშავება მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად

უპირველეს ყოვლისა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის (მონაცემთა დამუშავება მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის³¹ კანონიერი ინტერესების დასაცავად) საფუძველზე, მონაცემთა დამუშავება უნდა გაიმჯნოს ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტში მოცემული საფუძვლით პერსონალური მონაცემების დამუშავებისაგან, რომელიც გულისხმობს მის დამუშავებას მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში (ვინაიდან კანონი ადგენს პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზანს, მონაცემთა დამმუშავებლის მახასიათებლებს, დასამუშავებელი პერსონალური მონაცემების ტიპს და ა.შ.) მონაცემთა დამუშავება ხდება არა ინტერესთა შეპირისპირების საფუძველზე, არამედ კანონით ზუსტად განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.³²

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტში მოცემული საფუძველი - მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესი არის ზოგადი და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროებს დაზუსტებას ინტერესთა შეპირისპირების საფუძველზე. კანონმდებელი აღნიშნული ინტერესის შინაარსის დადგენის ფარგლებს ადგენს ამავე ნორმაში, რომლის თანახმადაც, მონაცემთა

31 მესამე პირი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო დაწესებულება, გახდა მონაცემთა სუბიექტისა, სახელმწიფო ინსპექციის სამსახურისა, მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირისა.

32 ამის მაგალითია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის მონაცემთა დამუშავება, სადაც ნათლად აჩივს განსაზღვრული პირის საჯარო სამსახურში მიღების მიზნით დასამუშავებელი ინფორმაცია და დამუშავების მიზანი. ასევე, პირის მონაცემების ნასამაჰთობის შესახებ ხეესგჩში შეგანა (პერსონალური მონაცემთა დამუშავება) მონაცემთა დამმუშავებლისათვის მინიჭებული ოფიციალური უფლებამოსილების შესახებ და, სადაც განსაზღვრულია უფლებამოსილების შინაარსი, დასამუშავებელი ინფორმაცია და დამუშავების მიზნები.

სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი გამორიცხავს მონაცემთა დამუშავებას ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ინტერესის სასარგებლოდ (ანუ გამორიცხავს მონაცემთა საჯარო ხელმისაწვდომობას).

აღნიშნულის გათვალისწინებით, ნორმის შემფარდებულს/გადაწყვეტილების მიმღებს, ერთი მხრივ, უნევს მონაცემთა დამუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესის, ხოლო მეორე მხრივ, მონაცემთა სუბიექტის აღმატებული ინტერესის შინაარსის დადგენა და მათი შეპირისპირების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება.

ინტერესთა შეფასებაზე გავლენას ახდენს მონაცემთა სუბიექტსა და განმცხადებელს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობაც. აღნიშნული შეიძლება გახდეს მონაცემთა სუბიექტის გონივრული მოლოდინის საფუძველი, რომ მისი პერსონალური მონაცემები შესაძლებელია დამუშავდეს.

მაგალითად, როდესაც ადგილი აქვს ავტოსაგზაო შემთხვევას, დაზარალებული მძღოლი საპატრულო პოლიციას მიმართავს ადმინისტრაციული სამართალ-დამრღვევის სავარაუდო ჩამდენი პირის პერსონალური მონაცემების გაცემის მოთხოვნით, დამრღვევისაგან ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავის დაწყების მიზნით.

საპატრულო პოლიციის მიერ სავარაუდო დამრღვევის პერსონალური მონაცემების მესამე პირის სასარგებლოდ დამუშავების (გადაცემის) კანონიერებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების კუმულატიურად არსებობა:

ლეგიტიმური მიზანი: მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ასეთი მიზანი - დაზარალებულის უფლების დაცვის უზრუნველყოფის საჯარო-სამართლებრივი ინტერესი. მიუხედავად იმისა, რომ მესამე პირს (დაზარალებულს), რომელსაც უნდა გადაეცეს სავარაუდო დამრღვევის მონაცემები, განზრახული აქვს კერძო-სამართლებრივი დავის წარმართვა, მონაცემების გადაცემა წარმოადგენს პოლიციის საჯაროსამართლებრივ ვალდებულებას, რათა ხელი შეუწყოს პირის უფლების დაცვას.

გამოსადეგი: პერსონალურ მონაცემთა დამუშავება გამოსადეგი უნდა იყოს დასახული კანონიერი მიზნის მისაღწევად. მოცემულ შემთხვევაში, ისეთი პერსონალური მონაცემები, როგორცაა დამრღვევის სახელი და გვარი, მისამართი ან/და პირადი ნომერი, იძლევა შესაბამისი პირის იდენტიფიცირებისა და დაზარალებულის უფლების დაცვის მხარდაჭერის შესაძლებლობას.

აუცილებელი: პერსონალურ მონაცემთა დამუშავება აუცილებელი უნდა იყოს დასახული კანონიერი მიზნების მისაღწევად. პოლიციის მიერ პერსონალური მონაცემების გაცემა არის აუცილებელი, რამდენადაც არ არსებობს უფრო მსუბუქი ღონისძიება პირის იდენტიფიკაციისა და დაზარალებულის უფლების დაცვის უზრუნველყოფისათვის.

თანაზომიერი: მონაცემთა სუბიექტის უფლებები და თავისუფლებები არ უნდა აღემატებოდეს მესამე მხარის კანონიერ ინტერესებს. ისინი უნდა დაბალანსდეს ინდივიდუალურად, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში. თანაზომიერების შემონახვა ხდება ინტერესთა გამოვლენითა და შეპირისპირებით.

ა. მონაცემთა დამმუშავებლის ინტერესი:

- მესამე პირის - დაზარალებულის კანონიერი ინტერესის დაცვა - მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

ბ. მონაცემთა სუბიექტის ინტერესი:

- პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესი.

გ. ინტერესთა შეპირისპირება - რომელი ინტერესი გადაწონის?

ერთ მხარეს დგას მესამე პირის კანონიერი ინტერესის დაცვის, ხოლო მეორე მხარეს - მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება. მოცემულ შემთხვევაში, დაცულია მიზნის შეზღუდვისა და მონაცემთა მინიმოზაციის პრინციპები,³³ არ ხდება მონაცემთა სუბიექტის აღნიშნულ უფლებებში დიდი მოცულობით ჩარევა, ხელმისაწვდომი ხდება მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად. შესაბამისად, მესამე პირის ინტერესი გადაწონის მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესს.

შუალედური დასკვნა: თანაზომიერების პრინციპი დაცულია.

საბოლოო დასკვნა: პერსონალური მონაცემების დამუშავება კანონიერია.

ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან ერთად, პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების კრიტერიუმია მისი დასაბუთების ვალდებულება. ინტერესთა შეპირისპირების შედეგები უნდა აისახოს გადანყვეტილებაში, რომელიც ზედამხედველობაზე უფლებამოსილ ორგანოს/სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას, გადაამოწმოს, ხომ არ არის დაშვებული შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში.

მაგალითად, სსიპ სახელმწიფო სეხვისების განვითარების სააგენტოს მიმართავენ კომპანიები და ითხოვენ ინფორმაციას მათი თანამშრომლების შიომითი ბინადრობის ნებაჩთვის შესახებ: 1. ჩამდენ თანამშრომელს აქვს შიომითი ბინადრობის ნებაჩთვა; 2. კონკრეტული სახელისა და გვარის მითითებით შიომითი ბინადრობის გაცემის თაჩილი და ვადა. მოთხოვნის საფუძვლად კომპანიები უთითებენ, რომ აღნიშნული ინფორმაცია საჭიროა კომპანიის მიეჩ თანამშრომლების საქაჩთველოში კანონიეჩად ყოფნის საფუძვლის გადასამოწმებლად.

33 „პეჩსონალეჩ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქაჩთველოს კანონის მე-4 მუხლი.

უნდა შეფასდეს სააგენტოს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების (კომპანიებისთვის გადაცემის) შესაბამისობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან.

ლეგიტიმური მიზანი: მოცემულ შემთხვევაში ასეთი მიზანი სახეზეა - კომპანიის მიერ თანამშრომლების საქართველოში კანონიერად ყოფნის საფუძვლის გადამოწმება კანონის დარღვევის პრევენციის ან/და გამოვლენის მიზნით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას მესამე პირის სასარგებლოდ. მოთხოვნის საფუძვლად კომპანიები უთითებენ, რომ აღნიშნული ინფორმაცია საჭიროა თანამშრომლების საქართველოში კანონიერად ყოფნის საფუძვლების გადასამოწმებლად და საკანონმდებლო მოთხოვნების დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

გამოსადეგი: პერსონალური მონაცემების დამუშავება არის გამოსადეგი, რამდენადაც ის შესაძლებელს ხდის მესამე პირის (კომპანიის) ლეგიტიმური ინტერესის (თანამშრომლების საქართველოში კანონიერად ყოფნის საფუძვლის გადამოწმება კანონის დარღვევის პრევენციის ან/და გამოვლენის მიზნით) დაკმაყოფილებას.

აუცილებელი: პერსონალური მონაცემების დამუშავება იქნება აუცილებელი, როდესაც ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად შერჩეული გამოსადეგი ღონისძიება არის ის საშუალება, რომელიც პერსონალური მონაცემების უფლების ყველაზე ნაკლები შეზღუდვით შესაძლებელს ხდის მიზნის მიღწევას. ვინაიდან იგივე ინფორმაცია კომპანიის მიერ შესაძლებელია მოპოვებული ყოფილიყო დასაქმებულის ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე (ანუ, უფრო მსუბუქი საშუალებით), კომპანიის მიერ დასაქმებულის ინფორმირების გარეშე სააგენტოდან ინფორმაციის გამოთხოვა, ვერ აკმაყოფილებს აუცილებლობის კრიტერიუმს.

თანაზომიერი: თანაზომიერების შემოწმება ხდება ინტერესთა გამოვლენითა და შეპირისპირებით. აუცილებლობის კრიტერიუმზე დაყრდნობით ვასკვნით, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავება (მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების შეზღუდვა) არ არის თანაზომიერი შეზღუდვის მიზანთან - მესამე პირის ლეგიტიმური მიზნის დაკმაყოფილებასთან. შესაბამისად, არ არის დაცული თანაზომიერების პრინციპი.

დასკვნა: მოცემულ შემთხვევაში, სააგენტო არ არის უფლებამოსილი, დაამუშავოს (კომპანიას გადასცეს) დასაქმებულთა პერსონალური მონაცემები.

2. მონაცემთა დამუშავება კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ ის აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად.

საჯარო ინტერესის დაცვის მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, საჯარო ინტერესი უნდა განისაზღვროს კანონის საფუძველზე. ინტერესთა შეპირისპირებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს კანონში მოცემული ფორმულირება, კანონით განსაზღვრული საჯარო ინტერესის შინაარსი, რომლის დაცვის მიზანიც ამართლებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას.

საჯარო ინტერესების მაგალითებია ეროვნული უსაფრთხოება და თავდაცვა, დანაშაულის პრევენცია, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ფინანსური ინტერესების დაცვა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და სოციალური უსაფრთხოება.³⁴ საჯარო ინტერესის საფუძველით პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების შეზღუდვა გამართლებულია, თუ ეს არის აუცილებელი და პროპორციული შეზღუდვის მიზანთან.

მაგალითად, საქართველოს გეოგრაფიულ უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ ბინადრობის ნებასთან დაკავშირებული მოთხოვნის შემთხვევაში, მისი პერსონალური მონაცემების დამუშავება (გადამოწმება) ხდება ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში.³⁵

პერსონალური მონაცემების დამუშავება მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად უნდა ემსახურობოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას და ეს ღონისძიება უნდა იყოს გამოსადეგი, აუცილებელი და თანაბომიერი.

განსახილველ შემთხვევაში, ბინადრობის ნებართვის მაძიებლის პერსონალური მონაცემების დამუშავება არის **ლეგიტიმური**, რამდენადაც მას აქვს საკანონმდებლო საფუძველი.

განხორციელებული ღონისძიება არის **გამოსადეგი**, რამდენადაც ის შესაძლებელს ხდის მიზნის მიღწევას.

განხორციელებული ღონისძიება არის **აუცილებელი**, რამდენადაც არ არსებობს უფრო მსუბუქი ღონისძიება, რომელიც შესაძლებელს გახდის მიზნის მიღწევას. პერსონალური

³⁴ აღნიშნული მჭიდრო კავშირშია „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმად, პერსონალური მონაცემების დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა ფიზიკური პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად. მაგ.: ეპიდემიებისა და მათ განვითარებაზე მონიტორინგის, ან ჰუმანიტარული კრიზისის შემთხვევაში ინფორმაციის დამუშავება, შესაძლოა, დაეფუძნოს ხოგოც საჯარო ინტერესებს, ისე მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესებს.

³⁵ „უცხოელთა და მოქალაქეობის ახმქონე პირთა სამაჩთებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი.

მონაცემების დამუშავება თავისი არსით არ ეწინააღმდეგება აუცილებლობის მოთხოვნას დემოკრატიულ საზოგადოებაში, რამდენადაც მონაცემთა სუბიექტის ინტერესების დასაცავად კანონმდებლობით განსაზღვრულია უსაფრთხოების ზომები (მაგ., სასამართლო კონტროლი და საპარლამენტო კონტროლი).

თანაზომიერების კრიტერიუმის თანახმად, მონაცემთა სუბიექტის უფლებები და თავისუფლებები არ უნდა აღემატებოდეს ინფორმაციის დამუშავების ინტერესებს. მონაცემთა დამმუშავებლის ინტერესია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების დაცვა, ხოლო მონაცემთა სუბიექტის ინტერესია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებების დაცვა. პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების დასაცავად. შესაბამისად, მონაცემთა დამმუშავებლის ინტერესი გადაწონის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესს.

შუალედური დასკვნა: თანაზომიერების პრინციპი დაცულია.

საბოლოო დასკვნა: პერსონალური მონაცემების დამუშავება კანონიერია.

3. ადმინისტრაციული წახმობების ინგეხესი, ხოგოხც ინფოხმაციის ღიაობის შეზღუდვის საფუძველი

პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის საფუძველი შეიძლება გახდეს ადმინისტრაციული წარმოების ინტერესები. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში თავს იყრის მნიშვნელოვანი მასალები, რომლებიც ემსახურება გადაწყვეტილების მიღების მიზნებს. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს³⁶ უფლება აქვს, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს და მოითხოვოს დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.³⁷ მისი ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია (წარმოების მასალები) არის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებასთან დაკავშირებული, შიდაუნებრივი ხასიათის დოკუმენტაცია ან პერსონალური მონაცემები, სახელმწიფო ან კომერციული საიდუმლოება. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნაზე, რომ მას ეცნობოს, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მისი რომელი პერსონალური მონაცემები მუშავდება და რა მიზნით.

შიდაუნებრივი ხასიათის დოკუმენტის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ექვემდებარება ინტერესთა შეპირისპირებას. შიდაუნებრივი ხასიათის დოკუმენტის ღიაობის შესახებ გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის გაცნობის ინტერესი გადაწონის პერსონალური მონაცემების/საიდუმლოების დაცვის ინტერესს.³⁸

36 სზაკ-ის მე-2 მუხლის პიხვედი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი: დაინგეხესებული მხახე ახის ნებისმიეხი პიხი, ხომედთან დაკავშიხებითაც გამოცემუღია ადმინისტრაციულ-სამახთღებხივი აქტი, აგხეთვე ხომღის კანონიეხ ინგეხესზე პიხდაპიხ და უშუალო გავღენას ახღენს ადმინისტრაციულ-სამახთღებხივი აქტი ან ადმინისტრაციული ოხგანოს ქმეღება.

37 სზაკ-ის 99-ე მუხლის 1-ღი და მე-5 ნაწიღები.

38 სზაკ-ის 99-ე მუხლის მე-2 ნაწიღი.

სზაკ-ის 99-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების ხელმისაწვდომობის საკითხი უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მონაცემთა დაცვისა და დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის ინტერესებს შორის დაბალანსების/შეპირისპირების გზით. ყოველი ინდივიდუალური საკითხი საჭიროებს დეტალურ ანალიზს და ვერცერთი უფლება ვერ გადაწონის რომელიმე სხვას ავტომატურად. არის თუ არა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ჩარევა პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებაში, უნდა შეფასდეს თითოეული საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. უნდა გაანალიზდეს ინფორმაციის მოთხოვნის მიზანი, მოთხოვნილი ინფორმაციის ბუნება, განმცხადებლის როლი და არის თუ არა ეს ინფორმაცია მზა და ხელმისაწვდომი.

მაგალითად, ხოდესაც პიჩი დაინტეგრირებული მხარის (ადმინისტრაციულ პროცესში სავადღებულოდ ჩასახტავი მესამე პიჩის) სტატუსით მონაწილეობს სამშენებლო ნებახთვის გაცემის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციულ წახმოებაში, მისი უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციული წახმოების მასალებს, მოიცავს პეხსონალური მონაცემის ხელმისაწვდომობასაც, ხამდენადაც, სხვაგვარად ის ვეჩ შეძლებს, მაგალითად, აჩქიგეექტუხური პროექტის, კონსტრუქციული ნახაზის თუ გეოლოგიური ნახაზის გაცნობას, შეფასებას და საკუთარი მოსახეების წახდგენას განსახიდევედ საკითხთან დაკავშირებით. მისი ეს უფლება აჩ შეიძლება შეიზღუდოს აღნიშნულ დოკუმენტებში მოცემული პეხსონალური მონაცემების დაცვის უფლებით. ადმინისტრაციული წახმოების განმახოხციელებელი ოხგანო ხელმისაწვდომს ხდის პეხსონალური მონაცემების შემცვედ დოკუმენტებს იმ მოცუდობით და ფახგლებში, ხაც აუცილებელია დაინტეგრირებული მხარის სამახთლებიხი უფლებების ხეადიზებისთვის.

აქვე უნდა იქნეს განხილული სზაკ-ის სამართლებრივი დახმარების ფარგლებში ერთი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა ადმინისტრაციული ორგანოსათვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თხოვნით მიმართვის შემთხვევა, როდესაც საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელი დოკუმენტი დაცულია შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პერსონალური მონაცემების დამუშავების **მიზნობრიობისა** და ამავე პუნქტით გათვალისწინებული **მინიმალისის** პრინციპების დაცვა. პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით, რაშიც მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ორგანოს ერთგვაროვანი მიდგომის (პრაქტიკის) ჩამოყალიბება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის უფლება ავტომატურად ვერ გადაწონის მონაცემთა დაცვის უფლებას. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებაში ჩარევა, დოკუმენტებზე წვდომის კონტექსტში, საჭიროებს კონკრეტულ გამართლებას.

4. საზედამხედველო კონტროლის ფაჩვებში პეისონადუხი მონაცემების ღიაობა

აღნიშნულ ნაწილში განხილულია, საჯარო დაწესებულების შიდა და გარე კონტროლის ფარგლებში, მაკონტროლებელი ორგანოს მხრიდან ისეთი ოფიციალური დოკუმენტების/ ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევები, რომლებიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს. აღნიშნული არ გულისხმობს საჯარო დაწესებულებების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებას.

საჯარო დაწესებულების შიდა კონტროლი ხორციელდება ორგანიზაციის შიგნით არსებული ზემდგომი სტრუქტურული ერთეულების მიერ, ხოლო გარე კონტროლი ხორციელდება ორგანიზაციის გარეთ არსებული სხვადასხვა სპეციალური მაკონტროლებელი ორგანოების (მაგალითად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საპარლამენტო კონტროლი) მიერ.

საზედამხედველო საქმიანობა არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია. აღნიშნული უფლებამოსილების დამდგენი კანონის ნორმა არის საჯარო დაწესებულებებიდან პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გამოთხოვის სამართლებრივი საფუძველი.

საკითხის განხილვისას უნდა იქნეს მიმოხილული, როგორც ინფორმაციის გამცემი, ისე მისი მიმღები (მაკონტროლებელი) საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების უფლებამოსილება.

1. ინფორმაციის გადაცემა. როდესაც პერსონალური მონაცემების დამუშავება გულისხმობს მაკონტროლებელი ორგანოსათვის პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების გადაცემას, აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნას პერსონალური მონაცემების დაცვის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი - მიზნის შეზღუდვის პრინციპი (მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით³⁹). ინფორმაციის გადაცემის მიზანი უნდა იყოს კონკრეტული და მკაფიო.

მონაცემთა გამოყენება სხვა მიზნით დასაშვებია, თუ ეს ახალი მიზანი თავსებადია თავდაპირველ მიზანთან. მონაცემთა შემდგომი დამუშავების თავდაპირველ მიზანთან თავსებადობის შესაფასებლად, დამმუშავებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ უნდა არსებობდეს კავშირი თავდაპირველი და შემდგომი დამუშავების მიზნებს შორის. მონაცემთა შემდგომი დამუშავება დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტისთვის მოულოდნელი და შეუსაბამო ფორმით.⁴⁰ მონაცემთა სუბიექტების გონივრული მოლოდინები მონაცემთა შემდგომ გამოყენებასთან დაკავშირებით ეფუძნება მათ ურთიერთობას მონაცემთა დამმუშავებელთან, პერსონალურ მონაცემთა ბუნებას, მონაცემთა შემდგომი დამუშავების შესაძლო შედეგებს.

39 „პეისონადუხი მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

40 მონაცემთა დაცვის ეფექტური სამაჩთის სახელმძღვანელო, 2018, გვ. 141.

კონტროლის განხორციელების მიზნებისათვის, ინფორმაციის გადაცემისას, წესით, სახეზეა მონაცემთა სუბიექტის გონივრული მოლოდინი, რომ საჯარო დაწესებულების მაკონტროლებელი ორგანოსთვის ხელმისაწვდომი შეიძლება გახდეს ზედამხედველობის განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტები. შესაბამისად, ამ ვალდებულების ფარგლებში, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება არის თავსებადი მიზანი.

მაკონტროლებელი ორგანოსათვის პერსონალური მონაცემების გადაცემისას საჯარო დაწესებულებამ ასევე უნდა გაითვალისწინოს მონაცემთა მინიმუმაციის პრინციპი (მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევაც მუშავდება ისინი⁴¹), რაც ნიშნავს იმას, რომ მაკონტროლებლის მოთხოვნის საფუძველზე უნდა დამუშავდეს მხოლოდ ისეთი მონაცემები, რომლებიც შესაბამისი და რელევანტურია. გადაცემული ინფორმაციის მოცულობა არ უნდა აჭარბებდეს მიზანს, რისთვისაც ეს მონაცემები მაკონტროლებელ ორგანოს სჭირდება. გადასაცემად შერჩეული მონაცემთა კატეგორიები საჭირო უნდა იყოს მაკონტროლებელი ორგანოს მიერ გაცხადებული მიზნის მისაღწევად, ხოლო დამმუშავებელი მკაცრად უნდა შეიზღუდოს მხოლოდ იმ მონაცემთა შეგროვებით, რომლებიც პირდაპირ შეესაბამება კონკრეტულ მიზანს.

2. ინფორმაციის მიღება. საზედამხედველო ორგანო, მისი საქმიანობის მიზნით მონაცემების მოთხოვნისას, ასევე ვალდებულია, დაიცვას მონაცემთა დამუშავების პრინციპები. მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა იყოს ადეკვატური და მონაცემების დამუშავების მიზნის შესაბამისი, ანუ ის არ უნდა იყოს ჭარბი. ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მონაცემთა ლიმიტირებული შენახვის პრინციპი (მიღებული მონაცემები უნდა იქნეს შენახული მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი⁴²).

საზედამხედველო საქმიანობის განმახორციელებელი უწყებისთვის ოფიციალური დოკუმენტის გადაცემა არ ნიშნავს, რომ ის გახდა საჯარო და არ საჭიროებს პერსონალური მონაცემების დაცვას. დოკუმენტის მიმღები საზედამხედველო ორგანო ვალდებულია, დაიცვას ინფორმაციის დამუშავების კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლები და დაიცვას პერსონალური მონაცემები.

გარე კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლი. ამ უფლებამოსილების განხორციელებას აქვს კონსტიტუციური საფუძველი, რაც ქმნის საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის გამოთხოვის ლეგიტიმაციის საფუძველს. თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ეს კონსტიტუციურ-სამართლებრივი უფლებამოსილება არის განუსაზღვრელი.

41 „პეჩსონალუხ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

42 „პეჩსონალუხ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

მაგალითად, ხოფესაც საპაჩდამენტო კონტროლის ფაჩგდებში პაჩდამენტის წევხის კითხვის საფუძვედზე ხომედიმე სამინისტროდან ხდება ოფიციადუხი დოკუმენტების გამოთხოვა, მოთხოვნაში უნდა ჩანდეს საპაჩდამენტო კონტროლის მიზნები და ფაჩგდები, ხაც ინფოხმაციის გამცემ საჯახო დაწესებუდებას მისცემს შესაძდებდობას, პეხსონადუხი მონაცემები დაამუშაოს პოპოლაციუდი მოცუდობით. აღნიშნუდი აუციდებედი მაკონტროდებედი ოხგანოს დეგიტიმუხი მიზნების მისაღწევად და წაჩმოადგენს ინფოხმაციის გაცემის საფუძვედს. თუ მოთხოვნაში აჩ ახის დაცუდი ეს კიტიეხიუმი, ინფოხმაციის გამცემი საჯახო დაწესებუდება უფდებამოსიდი, პაჩდამენტისგან მოითხოვოს ინფოხმაციის მოთხოვნის შინაახის დაზუსტება იმ კიტიეხიუმებზე დაყიდნობით, ხაც მას დაეხმახება პეხსონადუხი მონაცემების კანონიეხ დამუშავებაში.

V. მონაცემთა დამუშავება

მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით

1. მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის ახსი და მნიშვნელობა

საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, პერსონალური მონაცემების შემცველი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხი ხშირად უკავშირდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ „საზოგადოებრივი დარაჯის“ უმნიშვნელოვანესი ფუნქციის შესრულებას.⁴³ მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის ქვეშ შეიძლება მოექცეს საჯარო მმართველობის სხვადასხვა სფეროები (მაგალითად, გარემოს დაცვის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისა და სახელმწიფო შესყიდვების საკითხები), ასევე, საჯარო დაწესებულებების მხრიდან ბიუჯეტის ხარჯვის კანონიერება და საჯარო პირების პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცია.

სახელმწიფო ორგანოების მუშაობაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების მიზნით, მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის მოტივით, ინფორმაციის მოთხოვნისას მნიშვნელოვანია სწორად განიმარტოს საზოგადოებრივი ინტერესის შინაარსი, ვინაიდან პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების შეზღუდვის აუცილებლობა სწორედ მისი გათვალისწინებით ფასდება. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ინტერესებს შორის ბალანსისათვის, აუცილებელია, მისი დეტალური ანალიზი, ვინაიდან ვერცერთ უფლებას ავტომატურად ვერ მიენიჭება უპირატესობა (აბსოლუტური პრივილეგია).

მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი მოიცავს „ისეთ საკითხებს, რომლებსაც აქვს პოტენციური, საკმაო უთანხმოება წარმოშვას მნიშვნელოვან სოციალურ საკითხთან დაკავშირებით, ან პრობლემას, რომელზე ინფორმირების ინტერესიც ექნებოდა საზოგადოებას.“⁴⁴

თუ სასწორის ერთ მხარეს დევს საჯარო დებატები მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხთან დაკავშირებით, ინფორმაციის მიღებისა და გაცემის უფლების შეზღუდვა ნაკლებად ახსნადია, რადგან საზოგადოებას აქვს ინფორმაციის მიღების უფლება, და ის „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.“ თუმცა, თუ ინფორმაციის გასაჯაროების ერთადერთი მიზანია საჯარო პირების პირადი ცხოვრების დეტალებზე/პერსონალური მონაცემების საზოგადოების გარკვეული წრის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება, ის ვერ ჩაითვლება საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხად (წვლილის შეტანად საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე დებატებში).⁴⁵

43 მონაცემთა დაცვის ევროპული სამაჩტლის სახელმძღვანელო, თბილისი 2015, გვ. 39.

44 ECtHR, Magyar Helsinki Bizottság v. Hungary [GC], No. 18030/11, 2016 წლის 8 ნოემბერი, პუნქტი 156.

45 აღნიშნული მითითებულია სასამაჩტლოს მიერ. ECtHR, Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland, No. 931/13, 2017 წლის 27 ივნისი.

2. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობა

საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის დიდი ნაწილი უკავშირდება სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებში დასაქმებული პირების პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების ხელმისაწვდომობას.

საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირების პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობის საკითხის განხილვისას, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს თანამდებობის პირებისა და სხვა საჯარო მოსამსახურეების პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი. ასევე, საინტერესოა საჯარო დაწესებულების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილე საზოგადოებრივი ექსპერტის პერსონალური მონაცემების სტატუსის განხილვა.

✦ **თანამდებობის პირის** ცნების ქვეშ ექცევა „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი.⁴⁶

იმის გათვალისწინებით, რომ სზაკ-ს 28-ე მუხლი ეფუძნება საიდუმლოებიდან საჯაროობისაკენ ტრანსფორმაციის პრინციპს, პერსონალური მონაცემების ღიაობას სჭირდება საკანონმდებლო საფუძველი. თანამდებობის პირის პერსონალური მონაცემების ღიაობის საფუძველია სზაკ-ის 44-ე მუხლით დადგენილი საგამონაკლისო მიდგომა, რომლის თანახმად, თანამდებობის პირის პერსონალური მონაცემები საჯაროა.

თანამდებობის პირის, როგორც საჯარო პირის პერსონალური მონაცემების ღიაობის მოთხოვნა გამომდინარეობს მის მიმართ საზოგადოების მომეტებული ინტერესით. ეს შეფასება კანონმდებელმა გააკეთა და არ ექვემდებარება რევიზიას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან. ამავდროულად, მონაცემთა სუბიექტის სტატუსთან ერთად უნდა იქნეს გათვალისწინებული მეორე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი - პერსონალური მონაცემების შინაარსი და მისი გასაჯაროების შედეგი.

თანამდებობის პირის პერსონალური მონაცემების ღიაობის ზემოთ მოცემული ლეგიტიმური მიზანი - ინფორმაციის გამჭვირვალობა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი - არ ამართლებს მის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების⁴⁷ ღიაობას. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ადასტურებს, პირადი ცხოვრების ცნება უნდა გავრცელდეს პროფესიული და შრომითი საქმიანობის სფეროზეც.⁴⁸ თანამდებობის პირს, ისევე აქვს მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის

⁴⁶ თანამდებობების ჩამონათვალი იხ. ამ თავის დანახოში №2.

